წინადადება, როგორც ერთიანი სტრუქტურული ერთეული

ირმა რუსაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:irma.rusadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac

სტატიაში განხილულია წინადადება,როგორც ერთიანი სტრუქტურული ერთეული და მისი ორი დონე. წინადადების თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპი საშუალებას იძლევა გამოვყოთ წინადადების აღწერის ორი დონე-სინტაქსური სტრუქტურისა და სემანტიკურ სინტაქსური. წინადადების ფორმის დამახასიათებელ ნიშნებს თან ერთვის ორი ძირითადი თვისება,რომლებიც წინადადებას ახასიათებს, როგორც ერთიან სტრუქტურას. ესენია პრედიკატულობა და მოდალობა.

საკვანძო სიტყვები: *წინადადება, პრედიკატულობა, მოდალობა*

ლინგვისტიკაში კომუნიკაციური ერთეულის (რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი ინფორმაციის გადაცემას მოსაუბრიდან მსმენელზე) აღსანიშნავად გამოიყენება ორი ტერმინი: წინადადება და გამონათქვამი. პირველს გააჩნია სინტაქსური ერთეულის აღნიშვნის ტრადიცია, რომელიც გამოიყენება ფორმათა გამოხატვისა და აზრების გადმოცემის ძირითად საშუალებად [Виноградов 1954, 3].

ცნობილია წინადადებისა და მისი არსებითი ნიშნების განსაზღვრის მრავალრიცხოვანი მცდელობა. ძირითადად ვარირება რამოდენიმე ხაზის მიხედვით ვითარდება: ლოგიკურ ერთეულთან-აზრთან დაახლოვება, წინადადების ნიშნების სემანტოზაცია და ფორმალიზაცია, წინადადების ნიშნების გამოვლენა, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი მეტყველების ერთეულებისათვის.

წინადადების თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპი საშუალებას იძლევა გამოვყოთ წინადადების აღწერის ორი დონე-სინტაქსური სტრუქტურისა და სემანტიკურ სინტაქსური.

წინადადება, როგორც სინტაქსური დონის ერთეული, ხასიათდება ისეთი სახის ფორმალურ-გრამატიკული თვისებებით, როგორიცაა;

1.მთლიანობა (არ იშლება მსგავსი ფუნქციებისა და ნიშნების ერთეულებად)

2.ავტონომიურობა (არ არის გრამატიკული ფორმის ნაწილი)

3.გრამატიკული ჩაკეტილობა(არსებობს მხოლოდ შიდა გრამატიკული კავშირები)

4.ინტონაციური და გრამატიკული სისრულე (ეს უკამასკნელი აღნიშნავს მისი კომპონენტების სტრუქტურული კავშირების რეალიზაციას)

წინადადების ფორმის დამახასიათებელ ნიშნებს ერთვის ორი ძირითადი თვისება, რომლებიც წინადადებას ახასიათებს, როგორც ერთიან სტრუქტურას, ესენია -პრედიკატულობა და მოდალურობა.

ამ უკანასკნელთა ურთიერთობა დგინდება პრედიკატულობის საფუძველზე. მოდალობა განისაზღვრება, როგოც კატეგორია, რომელიც აღნიშნავს მოქმედებისა და რეალობის დამოკიდებულებას, რომელოც დგინდება მოსაუბრის მიერ [Виноградов 1954, 581].

პრედიკატულობის მეორე ნიშანი სხვადასხვა გზით განისაზღვრება. თუკი პრედიკატულობის ქვეშ იგულისხმება შემასმენლობა, მაშინ მოდალობა უფრო ფართო ნიშანია, ვიდრე პრედიკატულობა, რადგან მისი გამოხატვა შესაძლებელი იქნება არა მარტო შემასმენლით, არამედ ინტონაციითაც. სხვა შეხედულების მიხედვით, კი პრედიკატულობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მოდალობა, რადგან ვ. ვინოგრადოვის მიხედვით, იგი განისაზღვრება, როგორც დამოკიდებულება გამონათქვამისა რეალობასთან [Виноградов 1975, 227].

ამ შეხედულების მიმდევარნი თვლიან, რომ პრედიკატულობა გამოიხატება მოდალობის, სინტაქსური დროისა და პირის კატეგორიებში.

ბოლო ორი კატეგორია არ უნდა ავურიოთ შესაბამის მორფოლოგიურ კატეგორიებთან, რადგან ისინი ყოველთვის არ გამოიხატება ზმნისა და ნაცვალსახელების (პირის) ფორმებით. მაგ; ერთ სიტყვიან წინადადებაში ‘ზამთარია“ წარმოდგენილია ახლანდელი დრო, რომელიც არ გამოიხატება ზმნით, არამედ მჟღავნდება პრაგმატულ რიგში; ზამთარია-ზამთარი იყო--ზამთარი იქნება [Золотова 1973, 138].

პრედიკატულობა, როგორც წინადადების ძირითადი ნიშან-თვისება ხშირად განიხილება, როგორ ახასიათებს არა მთლიანად წინადადებას, არამედ მის სტრუქტურულ ბირთვს, რომელსაც ეწოდება წინადადების მოდელი, სტრუქტურული სქემა. ასეთი წინადაედება არის კომუნიკაციური დანიშნულების სინტაქსური სტრუქტურა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ენის სისტემაში არსებული კონსტრუქციული ფორმები, რომლებიც პრედიკატულობით ხასიათდებიან [Шведов 1966, 137].

საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევაში, პრედიკატულობა განიხილება, როგორც წინადადების კონსტრუქციული მინიმუმის(სქემის) ნიშანი, რომელიც რეალიზდება, ან გადადის სინტაქსური გავრცელების საშუალებით სტრუქტურულ მოდალობაში [Почещов 1971, 113]. წინადადების, როგორც სტრუქტურული ერთეულის განხილვიდან ინფორმაციის გადატანის უნარის კვლევაზე გადასვლამ მიგვიყვანა კონკურირებადი ტერმინის 'გამონათქვამის წარმოშობამდე. გამონათქვამის ქვეშ გულისხმობენ იმ ინფორმაციის შემცველ ერთეულს, რომელიც გადმოიცემა წინადადების საშუალებით.

დადგენილ იქნა, რომ წინადადების ერთი და იგივე სინტაქსური მოდელის საშუალებით, შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც დამოკიდებულია მოსაუბრეზე და ამგვარად ჩნდება წინადადების ან მისი აქტუალური დანაწევრების აზრობრივი სტრუქტურის შესწავლის მეცნიერება.

აქტუალური დანაწევრების თეორიის საფუძველზე ჩეხი მეცნიერი ვ. მათეუსი გამოყოფდა ფუძესა და ბირთვს, როგორც გამონათქვამის დანაწევრების ელემენტებს. შემდგომში შემოვიდა ტერმინები თემა და რემა . თემა გამონათქვამის ამოსავალი ნაწილია ან საგანია, ხოლო რემა ელემენტია, რომელშიც მოცემულია გამონათქვამის ძირითადი შინაარსი,ე.წ. გამონათქვამის კომუნიკაციური ცენტრი (Firbus 1964,267-280)

აქტიური დანაწევრება სინტაქსურისაგან განსხვავებით გამოიხატება ინტონაციისა და სიტყვების ადგილმდებარეობის საშუალებით.თემა არ შეიცავს ფრაზულ მახვილს და წინადადების დასაწყისშია. რემას გააჩნია ფრაზული(ლოგიკური) მახვილი და წინადადების ბოლოშია [Арутинова 1976, 10]. ენებში, რომლებიც წინადადებაში სიტყვების თავისუფალი რიგით ხასიათდება, შესაძლებელია რემის პოზიცია ნებისმიერმა წევრმა დაიკავოს. თუმცა, ანალიზურ ენებში, რომლებშიც მკაცრად არის განსაზღვრული სიტყვათა რიგი (მაგალითად ინგლისურ ენაში) გამონათქვამის თემა-რემას სტრუქტურას გამოხატვის გამსაზღვრული საშუალება გააჩნია. თემა, უმრავლეს შემთხვევაში, გამოიხატება არსებითი სახელით, რომელსაც განსაზღვრული არტიკლი ან ნაცვალსახელი (პირის და ჩვენებითი) ახლავს. რემას კი ახლავს განუსაზღვრელი არტიკლი და სხვა სახის ნაცვალსახელები გარდა პირისა და ჩვენებითი [Черняховская 1976, 47-48].

თემასა და რემის ნიშან-თვისებები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ თემა შეესაბამება ნაცნობ ინფორმაციას, ხოლო-რემა ახალ წინადადებაში პირველად ნახსენებ ინფორმაციას, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. გამონათქვამების სემატური ელემენტის ინფორმაციუ-

ლი მოცულობის მკვლევარნი ხაზს უსვამენ, რომ თემა ყოველთვის არ არის ნაცნობი ინფორ-მაცია. თემა შეიძლება იყოს ინგორმაციულად ახალი ელემენტი, ე.ი. მოცემულ სიტუაციაში ჯერ არ ნახსენები [Halliday 1970,85]: 'This garden can't have been built by Wren' theme-new, rheme-new+given მოცემულ შემთხვევაში ფრაზული მახვილი, რომელიც მოდის this-ზე გვიჩ-ვენებს, რომ თემა პირველად იქნა ნახსენები მოსაუბრეთა მიერ და შესაბამისად წარმოადგენს ინფორმაციული სტრუქტურის ახალ ელემენტს, ხოლო რემას შემადგენლობაში შედის ინ-ფორმაციულად ახალი ელემენტი (can't) და ნაცნობი ინფორმაცია (have been built by Wren)

თემასა და რემის ინფორმაციულად გამოყოფა წარმოადგენს გარკვეულ სირთულეს მა-სალის პრაქტიკული ანალიზის დროს, რადგან ამ პროცედურას ჯერ კიდევ არ მიუღია ფორ-მალიზებული ფორმა. ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმალური კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენება გამონათქვამის კომუნიკაციის დონეზე დანაწევრებისათვის, არის შეკითხვის დასმა. როგორც კოვტიკოვა წერს, კითხვის სახება გამოიყენება კრიტერიუმად, რომელიც გან-საზღვრავს თემასა და რემის შემადგენლობასა და გამონათქვამის პარადიგმატულ თვისებას [Ковтикова 1977, 149]. თანამედროვე ინგლისური ენის სინტაქსის მკვლევარი სელივესტროვა თვლის, რომ გამონათქვამის თემასა და რემის გამოყოფის კითხვა-პასუხის მეთოდიკა წარმო-ადგენს ფორმალიზებულ პროცედურას. იგი თვლის, რომ ყოველი მტკიცებითი წინადადება შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ იმ შეკითხვის გამონათქვამის თემად და ის შეიძლება გავიგოთ იმ შეკითხვასთან მიმართებაში, რომლის პასუხსაც იგი წარმოადგენს, ხოლო რემა გამონათ-ქვამის იმ ინფორმაციის ნაწილია, რომელიც შეკითხვის უშუალო პასუხია [Селивестрова 1977, 28].

თემისა და რემის გამოყოფის ამგვარმა მეთოდიკამ საფუძველი შეუქმნა საკითხის დას-მას იმის შესახებ, რომ თემა და რემა არ შეესაბამება წინადადების სინტაქსურ დანაწევრებას. წინადადების წევრებსა და თემასა და რემას შორის დამოკიდებულების შესწავლამ ცხადჰყო, რომ რემატული ინფორმაცია შეიძლება გამოხატულ იქნას წინადადების ნებისმიერი წევრის მიერ [Отрошко 1973, 79], ამიტომ კომუნიკაციის მოდელების გამოყოფა ემყარება მხოლოდ რემატულ, თემა-რემატულ და რემა-თემატურ დანაწევრებას.

ლიტერატურა:

1. Арутинова Н.Ф. «Предложение и его смисл». М., 1976
2. Виноградов В.В. «Вопросы языкознания», 1954

3. Золотова Т.А. «Очерк функционального синтакса». М., 1973

4. Отрошко Л.М. «К проблеме коммуникативной значимости членов предложения в современном англиском языке». Калинин, 1973

5. Почещов Г.Г. «Конструктивный анализ структуры предложения». Киев, 1971

6. Austin J.L – How to do things with words. Cambridge, 1962

7. Firbus J. - On defining the them e in functional sentence analysis.Prague,1964

8. Fires Ch. - The structure of English . N.Y. 1952

9. Halliday M.A.K Language Structure and Language Function in . New Horizon in Linguistics Lnd, 1970

Irma Rusadze

Akaki Tsereteli State University

Sentence As A Complete Structural Unit

Abstract

The paper deals with the discussions of a sentence as a complete structural unit and its two levels in modern linguistics on the basis of the opinions of different linguists. The two levels of sentence description are; syntactic and semantic-syntactic structures. And modality are two major features that are combined with the other characteristics of the sentence. The correlation between them is based on predicative. Modality is defined as the category which expresses the speaker's attitude to real facts. By means of the same syntactic model the sentence can convey various types of information. The sentence can be divided into theme and rheme. Such kind of division differs from the syntactic one and the difference is expressed by intonation and relocation of the words.